№ 110. 25 მაისი, კვირა. 1866—1880 25 მაისი, კვირა № 110.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

[illegible] შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ორ-რიგლით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ („ივერიის“ სამი წიგნი) ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ტელეგრამმები

(საგანგებო ამბების სააგენტოსი)

პეტერბურღი, 23 მაისს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტი, რომელშიაც გამოცხადებულია ყოველთა ერთგულთ ქვეშევრდომებისათვის ხელმწიფე იმპერატრიცის მიცვალება და მოწვევენა მათი, რათა ილოცონ დასამშვიდებლად მიცვალებულის უმანკო სულისა, რომელიც მიძინებულ არს საუკუნო სასუფეველის ზესთა საყუდართა შინა.

სასახლისაგან გამოცხადებულია, რომ 24 მაისს მიცვალებულს ხელმწიფე იმპერატრიცას ჩაასვენებენ კუბოში და გარდაიტანენ საზამთრო სასახლის დიდს კარის ეკკლესიაში. კარის ქალთა და კავალერთა უნდა ჩაიცვან მძიმე შავები 22 მაისიდამ იმ დღემდინ, სანამ ცალკე გამოცხადება არ იქნება.

სამხედრო მინისტრის ბრძანებით ჯარებმა ნახევარის წლის განმავალობაში უნდა ატარონ შავები.

### პრიკაზის ვალის გამო

ტფილისი, 24 მაისს.

ამ დღეებში „დროებაში“ იყო მოყვანილი ზოგიერთ რუსულ გაზეთებისაგან გამოთქმული აზრი ქართველ თავად-აზნაურობაზედ პრიკაზის ვალის შესახებ ამ გვარად:

„მართალია, საქართველოს თავად-აზნაურობა გაჭირებულ მდგომარეობაშია; მართალია, პრიკაზის ვალში რომ ის მამულები ჩამოერთვასთ, მომეტებული ნაწილი დაეცემა და თითქმის დაიღუპება; მაგრამ ვისი ბრალი იქნება ეს? თვითონ თავად-აზნაურებისა, რომელთაც თავის მდიდარ მამულების მოვლა არ იციან, რომელთაც შრომა არ უყვარსთ და განცხრომით ცხოვრებას კი ეწყობიან და სხ..“

„მარტო საქართველოს თავად-აზნაურობა კი არა რუსეთის მებატონეებიც ამავე მდგომარეობაში არიანო და თუ საქართველოს თავად-აზნაურობას დაეხმარება მართებლობა, რუსეთისამ კი რაღა დააშავაო?“

ამ სიტყვებს ქართული სტატიის ავტორიც თავის მხრით აი რას დასჭმატებს:

„არ შეიძლება არ დათანხმდეს კაცი, რომ ეს მსჯელობა ბევრის მხრით სწორი და სამართლიანი მსჯელობაა. ჩვენს თავად-აზნაურობას, მართალია, . . . . . , მთავრობის წინაშე დიდი დამსახურება და ერთგულება მიუძღვის; მაგრამ ამაზე ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის არც თვითონ რუსის თავად-აზნაურობას... მაშ ერთს მეორესთან უპირატესობა რად უნდა ჰქონდეს? არ უნდა ჰქონდეს და, იცოდეთ, არც შემდეგში ექნება და სხ...“

საკვირველია ჭეშმარიტათ, თუმცა სულ სხვა განძრახვით, მაგრამ ამ გვარივე აზრი იყო გამოთქმული ამას წინეთ რუსულ გაზეთში „ობზორში.“ იქ პირ-და-პირ გვამხილებდნენ, რომ თქვენ მოსული ხალხი გძულსთ და არ გინდათ, რომ იმათაც ის უფლება ჰქონდესთ, რომელიც თქვენ გაქვსთ და ეძებთ მათზედ უპირატესობას და თანასწორობა არ გინდათო?... ახლა კი ქართული გაზეთიც წინ-დაუხედავათ ამბობს, რომ რათ უნდა გქონდესთ თქვენ უპირატესობა რუსის თავად-აზნაურობაზედაო, იცოდეთ არ გექნებათო!..

ამ წინ-დაუხედავ სიტყვებიდამა სჩანს, რომ ვითომც საქართველოს თავად-აზნაურობა უპირატესობას თხოულობდეს რუსეთზედ და ეს ხომ ცხადი ცილის-წამებაა! არა თუ უპირატესობა, ჩვენ ჯერ იმათ მდგომარეობას შევნატრით და დიდათ ბედნიერი ვიქნებოდით, რომ ჩვენც იმათ გვარ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში ვიყოთ; . . . . მაგრამ ეს მოუხერხებელი საქმეა, მის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა სხვა არის და მათი სხვა... ჩვენ მესამზღვრე ხალხი ვართ და ისინი კი არა... ჩვენ ამოდენი ხანია გარეშე მტერი გვყავდა შემოხვეული: ორმოც-და-ათი წელიწადი მთის ხალხს ვებრძოდით და შევჩერებოდით, სადღა იყო სხვა ფიქრის დრო? ეს-ეს არის ახლა ვითომც შევისვენეთო; მაგრამ აქაც კიდევ ახალს ომში, როგორც მოსამზღვრე ხალხს პირველი ჭაპან-წყვეტა ჩვენ გვერგო და მოდი და ნუ ინატრებ სხვების მდგომარეობას?!

ვინ ამბობს, რომ რუსეთის თავად-აზნაურობას სამსახური და ერთგულება არ მიუძღვის მთავრობასთანაო? მაგრამ ზოგი ჩვენი თავად-აზნაურობისაც იკითხეთ და აბა მაჩვენეთ მისთანა ოჯახი, რომლიდამაც სისხლი არ დანთხეულიყოს მართებლობის

## ფელეტონი

### საკვირაო საუბარი

ამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე ლატარია გაიმართა ქალაქში და საკმაოთ ფულიც მოგროვდა ზოგი დაშეულ ხალხისთვის და ზოგი შკოლებისათვის. აზრი კეთილია. ეს ლატარია ბაღში იყო და ხალხი იქით მიიწევდა:

— ჰა, ნეტა ერთი კარგი რამ მაინც მერგოსო, ნატრობდა ერთი.

რა და რა ნივთებია? ბანკის მოგებიანი ბილეთებიც არის? ან ვერცხლეული არა არის რა? კითხულობდა მეორე.

— ეჰ, არაფერი გამოვიდა! ამდენი ბილეთი ავიღე და აბა თუ ერთს მოვეგო, გულ-ნაკლული ლაპარაკობდა მესამე.

აქ თურმე ხალხი სულ ამ მოგების სიხარბით მოდის და არა კეთილის საქმის შესაწევრად.

საზოგადოდ ლატარიის გახშირება ძალიან მავნებელი რამ არის. ამიტომ ყველგან და რუსეთშიაც მთავრობა უკრძალავს ლატარიების გამართვასა და საკუთარი კანონიც არის ლატარიის გამართვისათვის . აზრი ცხადია: ხალხში ადვილათ გამდიდრების სურვილი ხშირდება და ყველასთვის ცხადია რომ ეს სურვილი კაცს ნამდვილ, ბეჯით შრომაზე გულს აყრევინებს.

ეს აზრი ჩვენში ძალიან ავიწყდებათ და ლატარიებს მეტის-მეტათ ძალას ატანენ.

* * *

ერთს მეფეს სამი მცონარა, ზარმაცი ჰყავდა. ბაღში იწვნენ მსხლის ქვეშა, სამთავ მსხლის ჭამა უნდოდათ. ერთმა სთქვა ნეტავი ის მსხალი მაჭამაო. მეორემ: ნეტავი ესე ჩამოწყდეს რომ პირში ჩამივარდესო. მესამემ გადმოხედა ამხანაგებსა, თავი ზარმაცად გაიქნია და ხმა-ამოუღებლად ხელით ანიშნა: ნეტავი თქვენ, არ გეზარებათ ლაპარაკიო!

ლატარიის მოიმედენიც ამ შაჰის თამბლებს არა გვანან? მაგრამ რა ლატარიის მოიმედენი: ჩვენში ეხლა ყველა ან ამ თამბლებსა ჰბაძავს, ან იმ კაცს რომელზედაც იტყვიან: ღამე რო შემოხდეს, ქრისტეს ფეხს მოსჭრისო.“ ერთის სიტყვით თამბალია თუ ქრისტეს ფეხის მომჭრელი ორივეს სურვილი უეცრად, უჯაფოდ სიმდიდრის პოვნაა.

* * *

ორშაბათს ქალაქის რჩევაში ლაპარაკი იყო პროექტზე, რომ კუკიის და ქალაქის შუა ადგილი ქალაქის მხარეს შემოუერთონ, ქუჩები გასჭრან და სახლები დასდგან, ბაღი და მეიდანი გამართონ. ქალაქს შემოსავალი მოემატებაო და დამშვენდებაო.

პროექტი დიდია, საჩინოა თვალისათვის, სპეციალისტებს პლანი გაუშინჯავთ და მოსწონებიათ. მეც მომწონს და ქალაქის დეპუტატი რო ვყოფილიყავ, ხელს მოვაწერდა ერთის პირობით, რომ მთელი ეს ადგილი ბაღათ მოეშენებინათ. თორემ ოთხ ატაჟიანი სახლების აშენებით ხომ უარესათ ჰაერი მოიწამლება და წყალსაც სიმურტლე მოემატება ასჯერ მეტი, ვიდრე ეხლა. ამ ადგილებს თვით მთელი ქალაქისთვის ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თავისუფალია ყოველ-გვარის შენობისაგან. მაშასადამე წმინდა ჰაერი გარს ეფინება მთელ ქალაქსა, მეტადრე სამხრეთ, ძველ ნაწილს, რომელიც სრულებით მოიწამლება, თუ ეს ადგილი შენობებით აივსო. მოიწამლება თვით წყალი, რადგან რაც ეხლა უწმინდურებაა, ისიც ხომ ნაპირებიდგან წყალში უნდა ჩაიდეს და ამას გარდა კაძულის ოთხ-კუთხ ატაჟიან სახლების უწმინდურებაც მოემატოს.

მოსაწონი პროექტიაო, დიდი საჩენი პროექტიაო და ქალაქმა გადასწყვიტა, ერთის ხმის უმეტესობით, დამტკიცება.

რასაკვირველია, ასრულებამდის ბევრი წყალი ჩაივლის ამ ხიდებთანა. მაგრამ ასე გაურკვევლად გაგონილა, ბატონებო, ჰაერი და წყალი ამ პატარა ადგილას უფრო არ მოსწამლოთ, ის გირჩევნიათ. ეს პატარა ცარიელი ადგილი ჰაერის მოსატრიალებლათ მაინც დაგვიტევეთ.

* * *

სულ ასე დავდევთ ხოლმე დიდდიდებსა, პატარის ასრულების უღონოები. ვინდა ერთბაშათ, უეცრად დიდი რამ გავაკეთოთ და წვრილწვრილი გასაკეთებელი ხელიდგან მიგვდის. რათა? იმიტომ რომ ჯერ სულ ბალღები ვართ საქმეში, უფრო თამაშობა გვიყვარს, ვიდრე შრომა, ნამდვილი მოღვაწეობა და ნამდვილი შეძენა. ქალაქის ქუჩებს ავიწროებენ,

ერთგულებაში?— ქუდზედ გამოსულ თავად-აზნაურობას დრო ჰქონდა, რომ თავის მამულის დამუშავებაზედ ეფიქრნა?

კახელი, რომელიც ყოველ-დღე მტრისაგან აკლებას მოელოდა, განა გულს დაუდებდა მეოჯახობას?

გურული, მეგრელი, იმერელი, აფხაზი და სხვ., რომელნიც რამდენჯერმე გადამწვარან და აკლებულან მტრისაგან, განა მეურნეობაზედ დაიწყებდა ფიქრს?!

კახელს რომ ჰკითხო—რა არის, რომ ამდენი ხანია მაგისთანა მამულები ხელში გიჭირავსთ და ჯერ კი ვერ შეგიმუშავებიაო? მაშინვე გიპასუხებს: ჭავჭავაძეებს თუ ქონდათ შემუშავებული, მიტომ არა გაუოხრეს ლეკებმა?! მეგრელი დადიანზედ მიგვითითებს, გურული გურიელზედ და ნაკაშიძეზედ, აფხაზი შარვაშიძეზედ და სხ. და სხ.

და მართლათაც რაღა გული ექნებოდა ოჯახობისა ხალხს, როდესაც უცნაური მაგალითები წინ ედო?..

ძალიან შემცდარია და წინ-დაუხედავათ როშავს და სცოდებს კიდეცა, ვინც საქართველოს ხალხს ბედ-დოვლათ—გამბნევს და ზარმაცს ეძახის! ეტყობა, რომ ის თავის ცხვირს იქით ვერასა ხედავს. საქართველოს ხალხს უცხოვრია თავის საკუთარის ცხოვრებით იმოდენი ხანი და ერთი ფარა არავისი მართებია. და დღეს თუ სიღარიბეში ჩავარდნილა—ამის მიზეზები სულ სხვა არის: სხვა რომ არა იყოს-რა მარტო ესენიც კმარან:

1) როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ჩვენი თავად-აზნაურობა მუდამ მოუსვენარი იყო მტრებისაგან და არა ერთგზის აოხრებულა.

2) როდესაც ძველი წყობილება მოიშალა და ახალი შემოვიდა, მაშინ აირია გზა და კვალი: ჯერ დღესაც არავისა აქვს გამიჯნული თავისი საკუთრება, რომ უდავიდარაბოთ მოიხმაროს, ახალ კანონების წყალობით მარტო საჩივრებში სძვრებათ ტყავი და ლუკმა-პური ეკარგებათ, და

3) შინ შემოსეული ვაჭრები, რომელიც გარდა გლეჯისა და ცარცვისა არას უკეთებდნენ ჩვენს ქვეყანას. — ისინი არც გარეშე მტრებზედ ჰფიქრობდნენ და არც პატიოსნებზედ.. მხოლოდ დროს უყურებდენ და გაჭირვებაში ჩავარდნილ თავად-აზნაურს რომ ნახავდნენ, გამოსწოვდნენ უკანასკნელ სისხლს... ასი მანეთი ათას თუმნებათ იქცევოდა ხოლმე იმათ ხელში.

აქ, ვიცი, მეტყვით: ეგეც კიდევ ერთი ბედოვლათობა ქართველებისაო! რათ სტყუვდებოდნენო?. მაგრამ აი რას მოგახსენებთ: ზოგჯერ ასეთი წამი შეხვდება ადამიანს, რომ მთელ თავის დანარჩენ სიცოცხლეს მიუწონის და მაშინ ყველაფერს გაბედავს, ოღონდ სირცხვილ-ნამუსი კი არ გატეხოს!

მართალია, ღარიბი იყო საქართველოს თავად-აზნაურობა, მაგრამ აელო ხელი მტერ-მოყვრობაზედ, ჭირზედ და ლხინზედ! ამისთანა მაგალითიც ყოფილა, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურს არა ჰქონოდეს სამარხი ომში მოკლულს—მამის და სურვილი კი ჰქონოდეს საკადრისათ მისი დამარხვისა; მისულიყოს ვაჭართან, აელოს მისგან ასი თუმანი და იმაში დაჰკარგოდეს მთელი თვისი ყმა და მამული! მაგრამ ვინ გაჰკიცხავს ამისათვის იმ თავადს და ვინ დაუკრავს ქების ტაშს იმ ვაჭარს?

ეჰ. რაღა ბევრი გავაგრძელოთ! მართალია, საქართველოს თავად-აზნაურობა დღეს ცუდს მდგომარეობაშია ჩაგდებული, მაგრამ ეს მისი ბედოვლათობის ბრალი არ არის! მისგან დამოუკიდებელმა გარემოებამ დასცა, დასდო ჯაჭვი და ლამის ბოლოც მოუღოს!

აბა ერთი შინჯეთ ცოტა ხნით შაღავათი მიეცით, . . . . . . . . . და მაშინ ნახავთ, რაც იქნებიან...

ხგაკი.

## ახალი ამბები

—

დღეს, კვირას, შუადღიზე ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზალაში დანიშნულია ჩვეულებრივი საზოგადო კრება „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, რომელზედაც საზოგადოების წევრთ, სხვათა შორის, წარდგენილი ექნებათ განსახილველად და დასამტკიცებელად გავლილ წლის მოქმედების ანგარიში და მომავალის შემოსავალ-გასავლისა.

ვინც ამ ნორჩ საზოგადოების წესდება იცის, დაგვეთანხმება, რომ ეს თითქმის ყველა ჩვენ ახლანდელ საზოგადოებათაგან უსაჭიროესი და უჩინებულესი საზოგადოებაა თავის მიზნითა და იმ სარგებლობით, რომლის მოტანაც იმას შეუძლიან, თუ, რასაკვირველია, კარგი მოთავე პირები ეყოლება და ჩვენის საზოგადოების თანაგრძნობა არ მოაკლდება.

ამის გამო ჩვენ იმედი გვაქვს, ამ საზოგადოების წევრნი სხვა ჩვენ საზოგადოებათა წევრებსავით ჩვეულებრივ გულ-გრილობას და სიზარმაცეს არ გამოიჩენენ და ვინც კი მოიპოვებიან ქალაქში არ დაიზარებენ, მოვლენ დღევანდელს საზოგადო კრებაზედ...

* * *

ამ ოთხშაბათს, 21 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე აქაურ ვაჭრის ვანო აკოფოვისა, რომელსაც მაღაზიის შაგირდის პოლოზ მათეუზოვის მოკვლას აბრალებდნენ. გეხსომებათ, ამ ამბავზე ამას წინათ ბევრი ლაპარაკი იყო და საზარელ რამეებს ლაპარაკობდნენ ჩვენს ქალაქში.

გამომძიებელის გამოკვლევითა და სასამართლოშიაც, ალასი ალავერდოვისა და სხვა მოწმეების ჩვენებით, დამტკიცდა, რომ ხსენებული შაგირდი ნამდვილად მოუკლავს ვ. აკოფოვს, მაგრამ მოუკლავს არა წინათვე განზრახულის აზრით, არამედ უეცარის გულ-მოსულობით და სიმთვრალეში.

ეს შემამსუბუქებელი გარემოებანი მიიღო მხედველობაში სასამართლომ და დამნაშავეს გარდაუწყვიტა არესტანტების როტაში გაგზავნა ერთის წლისა და ნახევრის ვადით, ან აქვე საპყრობილეში დატუსაღება ორის წლითა და სამის თვით.

* * *

დღემდინ არ გვინახავს, რომ ქართველი მუშები ჩვენის ქუჩებისა და მაიდნების დამგველებად ყოფილიყვნენ; ამ მუშაობისათვის იჭერდნენ ხოლმე კროებს, სპარსელებსა და სომხებს; დღეს კი თითქმის ყველგან, საცა არ გაიხედავთ, ქუჩებს, ეზოებს, მაიდნებს და ტროტუარებს, ტფილისის ახლომახლო სოფლებიდამ ჩამოსული ქართველი გლეხები ჰგვიან და ასუფთავებენ.

ეტყობა, ძალიან გაჭირებიათ საქმე ამ გლეხებს, რომ ამისთანა დროს,

---

ჰკვრენ, მეიდნებზე ადგილებს ვინ გინდა და ვინ არა იჩემებენ. ესენი ქალაქს ხელიდამ მისდის, ამას ყურადღებას არ აქცევს და ერთიც ვნახოთ ციდამ ჩამოვარდნილ პროექტს ეწაფება და ებღაუჭება. გალღობა არ არის მაშ რა არის?!

* * *

საითაც გინდა მიიხედე სულ ისე გამოდის, როგორც: „დიდ ქვაბში არ ეტეოდა პატარა კმა არ იყო.“

ამ სამშაბათს ქართული წარმოდგენა არ იყო, რადგანაც ამ გაზაფხულიდგან მაყურებელი ცოტად დაიარება და ხალხს შესვენება ეჭირებაო. მართალია, გაზაფხულ-ზაფხულობით თეატრებში ხალხი ნაკლებათ იარება; მართალია, ამ წლევანდელმა გაჭირებამ და სიძვირემ ჯიბეები ძალიან შეათხელა, მაგრამ ერთი გარემოებაც შეუხებელი არ უნდა დავაგდოთ, რომელსაც ხალხის გულ-აცრუებაზე გავლენა უნდა ჰქონოდა. ეს ის გარემოება გახლავს, რომ თეატრის პირველი გამარჯვება ნამდვილ გამარჯვებად, მკვიდრ ღვაწლით მოპოებულათ ჩასთვალეს; ბრეტტორ-რეცენზენტებმა და მწერალ-გამკილავებმა ყოველივე ღონე იხმარეს ხალხის გულის აყრისათვის; ტრუპპის და ამხანაგობის უთანხმოებას ტაშის კვრით აზვიადებდნენ; თეატრის ამხანაგობას ისეთ მოღვაწებასა სთხოვდნენ, თითქოს ათასები ჩაებარებინოთო და თითქოს ათი წლის გამოცდილება ჰქონოდესო.

ახლა გაიხარეთ: „შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო.“

არ გამოდის რომ, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში კმა არ იყოვო?

თეატრს, მწერლობას, შკოლას, ყოველსავე ამას ვიწრო თვალით შეჰყურებენ ბრეტტორ-რეცენზენტები და ჩვენი ცხოვრების დამფასებლები. ჩვენში ეს ასე და ასეაო. ევროპაში ასე და ასე არის, ასე და ასე იყოვო, მაშასადამე ჩვენშიაც ასე უნდა იყოსო. მაგრამ ამ სიტყვების რახარუხთან არც ევროპიულის ისტორიის ფაქტების გაგება იციან, არც ჩვენისა. თვით ფაქტებიც არ იციან, ფაქტის აზრს ხომ ნუ ჰკითხავთ. უყვართ სიტყვების რახარუხი და ეს რახარუხი ატკბობს იმათს ფუტურო გულსა და საბრალო უძლურ გონებასა.

* * *

როდის უნდა გათავდეს ესეთი მიმდინარეობა ცხოვრებისა, როდესაც კაცი ქინს და ჯიბრს კეთილ-გონივრობას კი არ უმორჩილებს, არამედ გონება დაუმორჩილებია ქინისა და კაპრიზებისათვის!

* * *

იმედი განათლებისა, სწავლისა გაქვს. მაგრამ რა წარმატებასა ჰხედავ! წრეულს ქალაქის გიმნაზიებში სულ ოთხი თუ ხუთი ყმაწვილი სწავლას ასრულებს! ვიშ ჩვენო წარმატებავ!

მაგრამ ქალები არ დავივიწყოთ. ქალები კი ცოტა მომატებით ასრულებენო.

ამ დღეებში ქუჩაში დგას ერთი დედა და მეორეს ნათესავ დედაკაცს შესჩივის:

— აი ამ დღეებში ასრულებს ჩემი ქალი. ასე დავღონებულვარ, არ ვიცი რა ვქნა.

— რამ დაგაღონა, ქა? ჰკითხავს ნათესავი.

— სახლი ვერ მიშოვნია, ორი-სამი ოთახი უნდა დავიჭირო, ქალი დღედღეზე მყავს გამოსაყვანი.

— რათა სცლი?

— ქა, იქ ხო ვერ დავაყენებ კურსშესრულებულსა. კარგი სწავლა მიიღო, კარგ ჭამასა და სმას, სახლს და ჩაცმას დაეჩვია; აბა ახლა ჩემსავით ღარიბულათ ხომ არ ვაცხოვრებ.

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენში ამისთანა აზრი ძალიან გავრცელებულია: მშობლები საშინელს მწუხარებაში არიან, როცა ზავედენიიდამ და ინსტიტუტიდამ გამოჰყავთ ქალები. ანაზებენ, ანებივრებენ, ღმერთად იხდიან ქალებსა და პირველი გამრყვნელები შვილისა თითონვე ხდებიან. დღე და ღამ იმას ეჩიჩინებიან, რომ საკვირველი გაზდილები და ნასწავლები არიან, ოჯახობა იმათი საქმე არ არის, მდიდრულათ უნდა იცხოვრონ, მდიდარი ქმარი შეირთონ. რაც სწავლა მიუღიათ, რაც კეთილი აზრი შეუთვისებიათ სასწავლებელში, სულ ავიწყებინებენ. ნამდვილ ოჯახის და დედის ვალდებულების ნაცვლად მშობელნი დიდოფლობას და პრანჭიობას ასწავლიან.

გამოდიან ჩვენი განათლებული ქალები!

ვიშ, მშობლებო, ნეტავი თქვენს გონივრობას; ნეტავი თქვენ, ქალებო, ოჯახის მომავალო ბურჯებო! ნეტავი იმ ქვეყანას, საცა თქვენისთანა დედები მრავალია! რა ბედნიერი მომავალი უნდა ჰქონდეს!..

ანჩხატელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სოფელში გაცხარებული მუშაობა უნდა იყოს, ქალაქში ჩამოდიან და დღეში ექვს-შეიდ შაურად მუშაობენ...

* * *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 20-ს, შუაღამეზე, ჩვენი ქალაქი უეცრად წამოახტუნა ლოგინიდამ საშინელმა მიწის-ძვრამ, რომელიც 2-3 სეკუნდის განმავალობაში გაგრძელდა. ისეთი ძლიერი მიწის-ძვრა იყო-ვო, რომ ზოგიერთ ქვითკირის შენობის კედლები რამდენსამე ალაგას გასქდაო. ხალხი ძალიან შეშინებულა, რადგან აქეთკენ თავის დღეში არავის არ გაუგონია მიწის-ძვრა და ეს პირველი იყოვო.

* * *

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია ქუთაისის სატუსაღოს ექიმის რუნოვის შენიშვნა, რომელშიაც მოყვანილია, რომ იქაურ სასულიერო სასწავლებლის მიხ. ასათიანის მკვლელი ლეჟიაშვილი, რომელსაც მე ვწამლობ, სრულებით ჩვეულებრივი დამნაშავე არ არისო, არამედ იმ გვარ ავათმყოფთაგანი (ჭკუა შეშლილთაგანი), რომელთაც მუდამ ეჩვენებათ, თითქო იმათ ვინმე სდევნის, ან გაცემას უპირებს, ამ მოკვლას და სხვ. ამის გამო, ექიმის რუნოვის აზრით, ამ ლეჟიაშვილის ადგილი საპყრობილე კი არ არის, არამედ საავათმყოფო, იმას წამლობა ეჭირვებაო.

ჩვენ გვაკვირვებს, რომ პატივცემული ექიმი ამ გარემოებას მხოლოდ გაზეთში აცხადებს და იმას კი არ უცხადებს ვისაც უნდა ე. ი. ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორს, რომლისთვის ყველაზედ უწინ უნდა ეცნობებინა და მოეთხოვა, რომ ავათმყოფი საავათმყოფოში გადაეყვანათ. ექიმს კანონით აქვს უფლება, რომ ეს მოსთხოვოს სასამართლოს...

* * *

სიღნაღიდამ გვწერენ:

—„ეს ორი თვეა, რაც ჩვენი ხალხი და ადმინისტრაცია გულო-მოდგინეთ ებრძვის ქიზიყის მხრისაკენ გამოჩენილ კალიას. გლეხ-კაცობა ძალიან მოწადინებულია და არაფერს ზოგავს, რაც კი შეუძლიან, ამ საშინელის მტრის მოსაგერებელად. მრავალმა სოფლის საზოგადოებამ გარდასწყვიტა, რომ ბევრის ხალხი კალიაზე თავის ხარჯით გაისტუმრონ; ზოგიერთმა აქაურ თავადიშვილებმაც, მაზრის უფროსის ახალ თანაშემწის—თ. ლევ. ჯანდიერის თაოსნობით, შესწირეს რამდენიმე საპალნე ღვინო და აგრეთვე პური კალიის სახოცავად გასულ მუშა ხალხს...

„ახლა ისიც მოისმინეთ—ჩვენი ქალაქი სიღნაღი რა შემწეობას აძლევს ხალხს ამ გაჭირებაში:

„აქაურ მოქალაქეებში გამართეს ხელის-მოწერა კალიაზე გასულ ხალხისათვის ფულის მოსაკრეფად. მაგრამ სირცხვილით როგორა სთქვას კაცმა, სულ 16 მანეთი მოაგროვეს! აქედამ 11 მან. ჩინოვნიკებში და 5 მან. კი სიღნაღელ მოქალაქეებიდგან...“

* * *

თფილისის კლასსიკურ გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ ამ გიმნაზიის შაგირდების კასსაში სხვა-დასხვა პირებისაგან შემოწირული და აგრეთვე სხვა წყაროებიდამ მიღებული ფული არისო—8,270 მან. და 38 კაპ. აქედამ 699 მან. 20 კაპ. ღარიბ შაგირდებისათვის დაურიგებიათ.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში № 2 „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ანგარიშისა“, რომელშიაც სხვათა შორის, დაბეჭდილია კარლსრუეს სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის ბლანკონგორნის შენიშვნა ფილოქსერის (ვაზის) ავათმყოფობაზე“, „ქველის წარმოებაზედ კავკასიაში“ და ორი კორრესპონდენცია, ერთი გორიდამ და მეორე ბორჯომიდამ.

* * *

სია საგნებისა, რომელიც ხვალ, ორშაბათის სხდომაზე უნდა განიხილოს ქალაქის რჩევამ:

მოხსენება გამგეობისა მადათოვის კუნძულის შესახებ;

მოხსენება გამგეობისა სომხის ბაზრის ქუჩის მოკირწყვლაზედ;

მოხსენება გამგეობისა ნ. შიოევის ანდერძის აღმსრულებელთა განცხადებაზედ;

წინადადება ხმოს. ვართანოვისა სიძვირის თაობაზედ;

თხოვნა იანსონისა იმაზედ, რომ რჩევამ ხელ-მეორედ გადახედოს იმის წინადადება ქალაქის გაზით განათებაზედ;

წინადადება ხმოს. ნიკოლაძისა ციციანოვის აღმართზე ქალაქის მიწის დასაკუთრებაზედ და სხვ.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

გურია, 17 მაისს. გურულებისთანა უბედური ხალხი, მგონი, მთელს დედა-მიწაზედ არ უნდა მოიპოებოდეს: სადაც არ გინდა, ყველგან ცდილობენ ახლა რასმეს თავიანთ მომავლისთვის და ჩვენ კი გულ-ხელ დაკრეფილი შევსცქერით დროთა ვითარებას.

ან კი რომელი ერთი უნდა ვიფიქროთ? ჩვენ ყველაფერს მოკლებული ვართ: გზა არა გვაქვს, ქურდობას და ავაზაკობას თავის დღეში ბოლო არ ექმნება და უსწავლელობას დასასრული. მართალია, უგზოთ, როგორც იქნება, იოლათ წავა კაცი, ივლის ისრე, როგორც მისს მამა-პაპას უვლია; ქურდობას შეჩვეულნი ვართ და არაფრათ ვაგდებთ,—მაგრამ ამ უსწავლელობამ სრულებით ბოლო მოგვიღო ასე, რომ ამის მხრით არც ღვთისა ვართ და არც კაცის.

მთელი გურია შეადგენს 25—26 საზოგადოებას და მხოლოდ ათამდი მოიპოება სასოფლო შკოლები. ამათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ბახვის და ძიმითის შკოლებს და დანარჩენებზედ კი არაფრის თქმა შეიძლება. ამ ორი შკოლებიდამ წელიწადში 15—20 შაგირდი ათავებს სასოფლო შკოლის კურსს და მერმე რჩებიან სწავლას მოკლებულნი და სამი-ოთხი წლის ნაშრომი თითქმის გამოუსადეგარ სიგანს შეადგენს მათთვის. ამის მიზეზი ის კი არ გახლავთ, რომ ჩვენ ღარიბები ვართ; ის არის, რომ არა გვაქვს ადგილი ჩვენმა ყმაწვილებმა განაგრძონ სწავლა.

გურიაში არის ორი სასწავლებელი: სასულიერო და სამოქალაქო. სასულიეროში, რასაკვირველია, მღვდლისშვილები სწავლობენ და სამოქალაქოში თავად-აზნაურობისა და მოქალაქეების შვილები და ჩვენ, გლეხობას კი დახშული გვაქვს კარები. ჩვენთვის ადგილი არ არის, მეტი ვართ, და ამისთვის ვრჩებით ისევ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ყოფილან ჩვენი წინა-პრები.

ქვეყანა სწავლა-განათლებას მისდევს, ქვეყანა ცდილობს დაწინაურებას და ჩვენ კი დაგვიკრეფია გულზედ ხელი და შევჰსცქერით მარტო ერთს ოზურგეთის სამოქალაქო სამ-კლასიან სასწავლებელს, რომელშიაც თითქმის 100 — 150 შაგირდის მეტი ვერ მოთავსდება. იმისთანა დღე იშვიათი იქნება, რომ ამ სასწავლებლის ზედამხედველს ორი-სამი თხოვნა არ მოუვიდეს შაგირდის მიღებაზედ, მაგრამ ყველას უარს ეუბნება და უმოწყალოდ ისტუმრებს შინ; ადგილიც რომ იყოს, მაინც არ შეიწუხებს ეს დალოცვილი თავს გლეხი-კაცის მიღებაზედ, რადგანაც მას (გლეხს) არ შეუძლია დასაჩუქრება ისე, როგორც თავად-აზნაურს, ან მოქალაქეს...

წასრულს წელში კინაღამ სისხლისღვრა მოხდა ამ სასწავლებელში შაგირდების შეყვანაზე, რომელიც მოკლედ იყო აწერილი გაზ. „დროებაში“ და წელს მეტსაც უნდა მოველოდეთ, თუ ამ ნაირათ წავიდა საქმე; როგორც წასრულს წელს. წელს უფრო მომეტებული იქნებიან მთხოვნელები და არ ვიცი—რამდენი მიიღებს დაკმაყოფილებას; ადვილი შესაძლებელია, რომ ყველანი უმოწყალოდ დარჩნენ და, რადგანც სხვა სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შეძლება არა აქვთ, სამუდამოთ მოაკლდნენ სწავლას.

აი ამისთანა გაჭირებაში გახლავართ გურიის გლეხობა და არ ვიცით ვის მივმართოთ, რომ გვიშველოს და დაგვიხსნას ამ მდგომარეობიდგან. ნუ თუ ამდენი გლეხის შვილები არ არიან ღირსნი სწავლისა? ნუ თუ ამათ არ ეჭირებათ განათლების მიღება? ნუ თუ შავის ბედისგან დაჩაგრულებს კიდევ ამ მხრითაც გვეჭირება დაჩაგვრა და გზის შეკვრა?!..

იმედი გვაქვს, ყველა ამაებს მიაქცევს ყურადღებას ვისიც ჯერ არს და მოახდენს რაიმე განკარგულებას ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის გადიდებაზე, და ამ ნაირად ჩვენც მოგვცემს სწავლის საშუალებას.

მამათელი გლეხი.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ყურაგლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ყურაგლევი—ყელის და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების დ შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ყურაგლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ყურაგლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრეხტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

---

# განცხადებანი

—

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა აცნობებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ კვირას, 25 მაისს, დილის 12 საათზე, თბილისის საადგილმამულო ბანკის ზალაში იქნება საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო ყრილობა.

ყრილობის მოსასმენი საგნები არის

1) მიღება საზოგადოების ნამდვილ

წევრათ შემოსვლის მსურველთა.

2) ამორჩევა წევრთა-დამფუძნებელთა.

3) წარსავალი წლის ანგარიშის მოსმენა.

4) მომავალი წლის სმეტის დამტკიცება.

იმ წევრთა, რომელთაც არ შემოუტანიათ ამ წელში შემოსატანი ფული, სთხოვენ დააჩქარონ ამ ფულის გამოგზავნა. ადრესსი: *Тифлисъ. Дворянскій земельный банкъ. Казначею Общества Грамотности кн. И. Г. Мачабели.*

(2—2)

---





მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული




**წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარპინსკის აფთიაკში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინის ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

ვ. კარპინსკი.

(25—10)

---

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ქურქლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—1)

---

კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში

# ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი.

(10—5)


# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანქისაგან

**სამმართველო ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების 18 § ძალით, 30 ივნისს მიმდინარე 1880 წლისა, დილის თორმეტ საათზედ, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში, საზოგადო, ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან, ვაჭრობის განუმეორებლად, ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვე აღნიშნულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადის მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვე მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების 19 §-სამებრ, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადს და თან განცხადებაზედ ხარჯებს.

| გვარი, სახელი და მამის სახელი ბანკის მოვალეთა. | რა გვარი მამულია და ან მიწა ზომით რამოდენია. | სად მდებარეობს მამული | თავნი ვალი. მანეთი | კაპ. | შემოუტან. გადასახადი მანეთი | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხელთუფლიშვილი, ბესარიონ ანდრიას-ძე, კოლლეჟსკის ასსესორი | 12 ქვით-კირის ერთ-სართულიანი დუქნები და მათ ქვეშ მიწა, 159 კვად. საჟენი. | ქუთაისს, ბაზრის და ფრანგების ქუჩებს შუა.* | 3,000 | „ | 99 | 76 |
| იგივე | ოთხი ხის ერთ-სართულიანი დუქნები, 442 კვად. საჟენი ეზოით. | ქუთაისს ორპირის და ლაზარეთის ქუჩაზე | 1,625 | 36 | 161 | 54 |
| იგივე | სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატინი 360 კვად. საჟენი. | ბანოჯის ავარს ქუთ. უეზდისა. | 1,180 | 59 | 77 | 84 |
| ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასული, აზ. | ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატინი 1,500 კ. საჟ. | სოფ. ლახუნდარას შორაპნის უეზდისა | 3,935 | 30 | 192 | 30 |
| მდივნები: ტარიელ და სამსონ მიზარ. ძენი, აზ. | ტყე და სახნავ-სათესი. 13 დესიატინი 337 კვად. საჟ. | სოფელს გაკის უბანს ქუთ. უეზდისა. | 394 | 70 | 40 | 92 |
| აბაშიძე, ქაიხოსრო გიორგის ძე, თავადი. | ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყიანი ადგილები, 130 ქცევა 852 კ. საჟ. | სოფ. ლაშეს შორაპნის უეზდისა. | 6,926 | 77 | 311 | 80 |
| ზედგინიძე, ივანე იოსების ძე, ნად. სოვეტ. | ორ-სართულიანი ქვით-კვით-კირის სახლი, 154 კვადრ. საჟ. ეზოით. | ქუთაისს მიხეილის ქუჩაზედ. | 11,964 | 70 | 805 | 80 |
| ტყეშელაშვილი, სოფრომ სიმონის ძე, გლეხი | ორ-სართულიანი (ძირა ქვით-კირისა ხოლო ზედა ხისა) სახლი, 700 კვად. საჟ. ეზოით. | ქუთაისს ალექსანდრე სლობოდკის მესამე ქუჩ. | 460 | 20 | 57 | 77 |
| შხვაცაბაია, სიმონ ხალილას ძე, აზ. | ხის სახლი და ხის დუქანი, 248 კვად. საჟენი ეზოით. | ქუთაისს, მესხეთის ქუჩაზე. | 387 | 82 | 37 | 26 |
| ბაქრაძე, ბიჭია გიორგის ძე, აზ. | სახნავ-სათესი, 15 ქცევა. | სოფ. ქვაშხეთს, რაჭის უეზდისა | 1,480 | 9 | 78 | 60 |
| ბაქრაძე, დარისპან ბეჟანის ძე, აზ. | სახნავ-სათესი, 3 დესიატინი 700 კ. საჟ. | სოფ. ბიღას, შორაპნის უეზდისა | 197 | 92 | 32 | 44 |
| ქაჯაია, გიორგი ტარიელის ძე, აზ. | ეზო, ზვარი და ტყე, 7 დესიატინი 800 კვადრ. საჟენი | სოფ. ჭაგანს, ქუთაისის უეზდისა. | 885 | 44 | 67 | 89 |
| ნიჟარაძე, მიხეილ დიმიტრის ძე, თავადი. | ეზო და სახნავ-სათესი: 19 დესიატინი 2,052 კვადრ. საჟენი. | სოფ. ზედა-მაღლაკს, ქუთაისის უეზდისა | 789 | 42 | 48 | 92 |
| ბაბაშვილი, მაქსიმე გიორგის ძე აზ. | ორი ნაკვეთი მიწა, 2 დესიატინი 708 კვადრ. საჟენი. | ქუთაისს, ზემქედაზე. | 2,000 | „ | 99 | 80 |
| ნინიკაშვილი, სიმონ თომას ძე, გლეხი. | ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები, 192 კვადრ. საჟ. | ქუთაისს, ლაზარეთის ქუჩაზედ. | 1,200 | „ | 134 | 76 |
| ელიაშვილი, იოსებ და აბრამ შამელას ძენი, და ბოთერაშვილი, აბრამ დანიელის ძე, ებრაელნი. | სახნავ-სათესი, 347 ქცევა 500 კ. საჟ. | სოფ. ჭუჟუმურს ქუთ. უეზდისა | 25,728 | 6 | 1,117 | 40 |
| ჭაჭიაშვილი, სინო გიორგის ძე, აზ. | ზვარი, სახნავ-სათესი, ტყე და ეზო 177 ქცევა 391 კვადრ. საჟ. | სოფ. არგვეთს, შორაპნის უეზდისა. | 6,926 | 77 | 263 | |
| ბაქრაძე, კონსტანტინე კაციას ძე, აზ. | ზვარი და სახნავ-სათესი, 5 დესეტინი 2025 კვად. საჟენი. | სოფელთ: ფარახეთს და კრიხს, რაჭის უეზ. | 1,691 | 37 | 87 | 8 |
| მიქაძეები: ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, სიმონ და ბეჟან სიმონის ძენი, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის ძენი, და ეკატერინა პეტრეს ასული, თ. | სახნავ-სათესი და ტყე 1463 დესიატინი | სოფ. ჭალადიდს სენაკის უეზდისა. | 14,843 | 10 | 448 | 84 |
| მიქელაძე, ვალერიან და გიორგი ბეგლარის ძენი, თავადნი. | ეზო; სახნავ-სათესი და ტყე. 23 დესიატინი 1104 კვად. საჟ. | სოფ. კულაშს, ქუთაისის უეზდისა. | 4,676 | 15 | 214 | 28 |
| ლოლობერიძე, გიორგი ბესარიონიძე. აზ. | ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი მაღაზიები. 276 კ. საჟ. ეზოით. | ქუთაისს, მიხეილის ქუჩაზე. | 16,795 | 31 | 1,132 | 75 |
| ბურჯანაძე, ივანე ანდრიას ძე, გლეხი. | ხის ერთ-სართულიანი სახლი, 213 კ. საჟენი ეზოით. | ქუთაისს, ტფილისის ქუჩაზე. | 387 | 82 | 37 | 26 |
| იოსელიანი, კონსტანტინე იესეს ძე, აზ. | ერთ-სართულიანი ხის სახლი, 344 კ. საჟენი ეზოით. | ქუთაისს, ორპირის ქუჩაზედ. | 1,144 | 36 | 128 | 59 |

ვაჭრობა დაიწყება თავნი ვალიდამ ჩედდამატებით სხვა-და-სხვა გადაუხდელის ფულისა, მამულის გასაყიდლად დანიშნვის ხარჯებისა და საზოგადოდ ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის თავნის ხანგრძლივის ვალისა მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივი ფასისა მებრ—მანეთი მანეთად; ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდ ფულად.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 15-ის ივლისისათვის მიმდინარე წლისა, იმავე ბანკის სამმართველოში.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი